



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან  
იძულებით გადაადგილებულ პირთა,  
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

წლიური ანგარიში 2014



დევნილთა პრობლემები დღესაც უკიდურესად მწვავედ დგას. რადგან წლების განმავლობაში არ არსებობდა დევნილთა პრობლემების მოგვარების პოლიტიკური ნება და სახელმწიფო სტრატეგია. მაგალითისთვის, 2008 წლის ომის შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს დასახმარებლად 4,5 მილიარდი დოლარი გამოყო, რომლის ნაწილი დევნილთა განსახლების უზრუნველყოფას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ეს თანხები არამიზნობრივად გაიხარჯა. სწორედ ამის გამო, 2012 წლის ბოლოსთვის 85 953 დევნილი ოჯახიდან საცხოვრებელი ბინით დამაყოფილდა მხოლოდ 23 973 ოჯახი, ბინის სანაცვლოდ კი ფულადი კომპენსაცია მიიღო 5 155 ოჯახმა. დღეს ქვეყანაში 260 000-მდე რეგისტრირებული დევნილია, მაგრამ ეს რიცხვი გაცილებით მეტია.

2012 წლიდან რადიკალურად შეიცვალა მიდგომები და დევნილების პრობლემატიკა ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა.

**კომუნიკაციისა და სამინისტროს სერვისებზე წვდომის გაფართოება** -

დაწესდა მიღების დღეები, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ მინისტრმა და მოადგილეებმა 15 ათასზე მეტი დევნილი მიიღეს. სისტემატურად ხდებოდა გასვლები დევნილების ჩასახლების ადგილებში. დევნილებთან კომუნიკაციის სრულყოფაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი მისაღები ცენტრის გახსნამ, რომელმაც გააუმჯობესა სამინისტროს სერვისებზე დევნილების წვდომა და მათი დროისა და სახსრების სერიოზული დაზოგვა გამოიწვია. ცენტრის 13 თანამშრომელი, „ერთი ფანჯრის პრინციპით“, იძულებით გადაადგილებულ პირებს ყოველდღიურად 11 სახის მომსახურებას უწევს. დევნილთათვის საკუთრების დაკანონების პროცედურის გამარტივებისათვის, მისაღებ ცენტრში საჯარო რეესტრისა და ლიბერთი ბანკის წარმომადგენლებიც მუშაობენ.

სამინისტროსადმი ნდობის ამაღლებაში დადებითი როლი ითამაშა სამინისტროს კადრების გადახალისებამ, ანტიკორუფციული გარემოს შექმნამ და დევნილთა ხელახალმა რეგისტრაციამ.

**დევნილთა ხელახალი რეგისტრაცია** - საქართველოს მთავრობის N 794

განკარგულების საფუძველზე, 2013 წლის 1 აგვისტოდან - 27 დეკემბრამდე მიმდინარეობდა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) პროცესი, რომელიც მინისტრის ბრძანებულებით 2014 წლის 1 ივნისამდე გაგრძელდა.



ამ პროექტის ფარგლებში მოხდა:

- დევნილებისა და მათი ოჯახების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა;
- მათი ფაქტიური მისამართების დადგენა;
- დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება;
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა;
- დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზის განახლება და ახალი ინფორმაციის ფორმირება;
- დევნილის გაუმჯობესებული მოწოდების გაცემა;
- დევნილთა დაჯგუფება მიზნობრივი დახმარების მიზნით;
- კანონის დარღვევით მიღებული დევნილის სტატუსის მქონე პირთა იდენტიფიცირება.

- დევნილთა 2013 წლის რეგისტრაციის დაწყებისთვის, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, სულ დევნილად რეგისტრირებული იყო 271 832 პირი.
- ხელახალი რეგისტრაციის შედეგად დევნილთა რაოდენობამ შეადგინა 262 285.
- სავალდებულო რეგისტრაციის გაუვლელობის გამო დევნილის სტატუსი შეუწყდა 17 177 პირს.

ხელახალმა რეგისტრაციამ უამრავი კანონდარღვევა გამოავლინა, ისეთები როგორცაა დევნილის მოწოდების გაყალბება, სახელისა და გვარის გაყალბება, დევნილის მოწოდებაში ფოტოსურათის შეცვლა, ერთ დევნილზე ორი ან მეტი დევნილის მოწოდების არსებობა და ა.შ.

სწორედ ამ პერიოდში, 2013 წელს, იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, რომელშიც დევნილთა და განსახლების სამინისტროს ინიციატივით აისახა რეგულაცია, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ ის პირები, ვისაც მსგავსი ტიპის დანაშაულებები ჰქონდათ ჩადენილი, თუ ამას ისინი ნებაყოფლობით აღიარებდნენ, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც დევნილს გაყალბების გზით მიღებული აქვს ბინა ან ფულადი კომპენსაცია. კანონი ამნისტიის შესახებ მოქმედებს 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე.



დღემდე ამნისტიით ისარგებლა 367-მა მოქალაქემ. მათგან 175-მა საკუთარი განცხადებით თქვა უარი დევნილის სტატუსზე.

ახალი მიდგომები გრძელვადიანი განსახლების პროექტის განხორციელებაში - ყველაზე მნიშვნელოვანი ახალ მიდგომებში არის ის, რომ შეიცვალა სტრატეგიული ხედვა და სახელმწიფომ საკანონმდებლო დონეზე აიღო ვალდებულება დევნილების არა დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებაზე, არამედ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების უზრუნველყოფაზე. ახალი მიდგომები შესაბამისად აისახა დევნილთა შესახებ საკანონმდებლო ბაზაში. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს ახალი კანონის“ (ძალაში შევიდა 2014 წლის 1 მარტიდან) მიღების აუცილებლობა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: 2014 წლის 1 მარტამდე მოქმედი კანონი არ ასახავდა დევნილებთან მიმართებაში არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას და აღარ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ახალმა კანონმა განსაზღვრა, რომ დევნილებს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებამდე უნდა შეექმნათ უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრების პირობები და აღნიშნულის გათვალისწინებით, სწორედ ახალი კანონის უმთავრესი მიზანია, საქართველოში ყველა დევნილ ოჯახს გააჩნდეს საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი. ამას გარდა, ახალმა კანონმა შემოიღო დევნილთა სოციალურ-სამართლებრივი უფლებების უკეთ რეალიზაციის მიზნით რიგი ახალი რეგულაციები, კერძოდ:

- 2014 წლის 1 მარტიდან ყველა დევნილის შემწეობა გახდა 45 ლარი;
- აღმოიფხვრა არაერთგვაროვანი და დისკრიმინაციული მიდგომა დევნილთა მიმართ. გაუქმდა დევნილთა კომპაქტური და კერძო ჩასახლების ობიექტის ცნება, ყველა დევნილი იღებს თანაბარი რაოდენობის დევნილის შემწეობას;
- დევნილი სრულად არის დაცული მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლებისაგან;
- მიუხედავად სახელმწიფოს მიერ დევნილისთვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემისა, მას დევნილის სტატუსი უნარჩუნდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე - მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე;



- დევნილს, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდგომ უნარჩუნდება სახელმწიფოს მიერ მისთვის უკვე საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ფართი;
- დევნილს აღარ უწყდება შემწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ ორ თვეზე მეტი ხნის ვადით გასვლის შემთხვევაში, თუ ეს გასვლა დაკავშირებულია სამსახურებრივ მივლინებასთან, სწავლასთან ან სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობასთან და აღნიშნულის თაობაზე მან წინასწარ აცნობა სამინისტროს;
- გამარტივდა დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურა. კერძოდ, გაუქმდა დამატებითი ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელიც დევნილის სტატუსის მინიჭებამდე ითვალისწინებდა დევნილის სტატუსის მაძიებლის სტატუსის მინიჭებას;
- მკაფიოდ განისაზღვრა ოჯახის ცნება, რითაც დაცული იქნება ოჯახის ერთიანობის პატივისცემის უფლება;
- დევნილს დაუკანონდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი უძრავი ქონების რესტიტუციის და მისი მემკვიდრეობით გადაცემის უფლება.

რეგისტრაციის პერიოდში დადგინდა, რომ 58 575 ოჯახი საჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან ბინით უზრუნველყოფას, მათ შორის 35 000 -ზე მეტი უკიდურესად მწვავედ განიცდიდა ამ პრობლემას. გამოვლინდა ისიც, რომ სამინისტროში არ არსებობდა განსახლების რაიმე წესი და ნორმა. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, სამინისტროში მომზადდა და გამოიცა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. ეს წესი ადგენს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცედურებს, ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართების განაწილების წესს.



ამასთან, ითვალისწინებს შშმ დევნილ ოჯახებს, მათი სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით, საცხოვრებელი ფართის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე გადაცემის საკითხსაც.

ზემოხსენებული ნორმატიული აქტის გამოცემამდე, არ არსებობდა ერთიანი ხედვა და მიდგომა, ასევე არანაირი სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევდა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცესს. აღნიშნული ნორმატიული აქტის მიღებით, ხსენებული პროცესი გახდა გამჭვირვალე, ჩამოყალიბდა ერთიანი მიდგომა და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება მიიღოს როგორც სრული ინფორმაცია, ასევე გაასაჩივროს სამინისტროს გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით. პროცესში ჩართულია განცხადების მიღების, შეფასების და დაზუსტების ქვეკომისიები. გადაწყვეტილებებს იღებს გაფართოებული კომისია.

თუმცა, ერთწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა რომ კრიტერიუმების ზოგიერთი მუხლი საჭიროებდა გადახედვასა და დახვეწას. სამინისტრომ სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების რეკომენდაციების გათვალისწინებით დაამტკიცა ცვლილებების პაკეტი დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებში.

ახალი რედაქციით, მკაცრად განისაზღვრა აპლიკაციების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღები. განაცხადების მიღების ვადის ამოწურისთანავე, დევნილთა დეპარტამენტის შეფასების განყოფილება დევნილ ოჯახებს შესაბამის ქულებს ანიჭებს, რის შემდეგაც სია სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება ([www.mra.gov.ge](http://www.mra.gov.ge)). განაცხადების მიღების შემდგომ, დევნილებს ეძლევათ 15-დღიანი ვადა, რათა დამატებით დოკუმენტაცია წარმოადგინონ. დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველო დევნილი ოჯახების ქულებში კორექტივებს შეიტანს. კომისიის წევრები ვალდებულები არიან, დევნილ ოჯახებს დოკუმენტაციის მოპოვებასა და შევსებაში დაეხმარონ.

საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის წინასწარი შეფასების განყოფილება გამოყოფს იმ დევნილი ოჯახების რაოდენობას,



რომელთა მოკვლევაც ადგილზე მოხდება. მოკვლევების დროს შედგება ოქმი, რომელსაც ხელს როგორც სამინისტროს წარმომადგენელი, ისე დევნილი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი მოაწერს.

ცვლილებების მიხედვით, კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობას არ მიიღებენ სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. მათ ბინები პირველ სართულზე გადაეცემათ.

მკაცრად განისაზღვრა შეფასების, მონიტორინგისა და კომისიაზე საკითხის განხილვის ვადები, რის შესახებაც ბენეფიციარები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი.

საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმში შეტანილი ცვლილების თანახმად, დევნილი ოჯახი, რომელიც ცხოვრობს ნათესავის ან ახლობლის სახლში, ქირის გარეშე, მიიღებს დამატებით 1 ქულას. იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, რომლებიც ქირის საფასურს იხდიან 1 ქულის ნაცვლად 1,5 ქულა მიენიჭებათ.



კრიტერიუმების გამოყენებით სამინისტროს მიერ რეაბილიტირებულ ობიექტებში 2014 წელს ბინა გადაეცა 661 დევნილ ოჯახს:

#	რეგიონი	ქალაქი	მისამართი	ბინების რაოდენობა	სატენდერო ღირებულება (ლარი)
1	სამეგრელო ზემო-სვანეთი	ზუგდიდი	ბერანძის #5	74 ბინა	1 000 000
2	აჭარა	ბათუმი	აფხაზეთის ქუჩა	48 ბინა	389 441
3	სამეგრელო ზემო-სვანეთი	ფოთი	ახალი ჩასახლება	280 ბინა	-
4	რაჭა	ონი	ბააზოვის N1	8 ბინა	127 388
5	ქვემო ქართლი	რუსთავი	რუსთაველის 16	66 ბინა	920 000
6	ქვემო ქართლი	რუსთავი	დავით გარეჯის #4ა	15 ბინა	288 750
7	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	ვაშლოვანის ქ. N2	18 ბინა	-
8		თბილისი	თემქა	90 ბინა	1 293 500
9		თბილისი	ჯიქიას ქუჩა #5	48 ბინა	1 000 000
10		თბილისი	გლდანი	14 ბინა	219 996

ბინების რეაბილიტაციის პროცესი დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ვაზიანში, კასპში, გორში, ხაშურში, ახალციხეში, ზუგდიდსა და ქუთაისში, სადაც მალე 1030 დევნილი ოჯახი საკუთრებაში მიიღებს ბინას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული 10 ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა ზუგდიდში, სადაც 2015 წლის იანვარში 320 დევნილი ოჯახი დაიდებს ბინას.





- აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID)-ის დაფინანსებით ქუთაისში მიმდინარეობს 22 ობიექტის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ხოლო წეროვანში, შავშებში, ხურვალეთში, კარალეთში ობიექტების გაზიფიცირება და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.
- 12 ნგრევადი ობიექტიდან 152 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა რეაბილიტირებულ ბინებში.
- საქართველოს მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ობიექტს.
- თბილისში კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდულ იქნა 9 კოლექტიური ცენტრი 420 ოჯახისთვის, რაშიც გაიხარჯა 3 306 991.90 ლარი.
- საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილდა 100-მდე შშმ პირი.
- 2014 წლის განმავლობაში დევნილთათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით (სახურავის შეკეთება, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, გარე ელექტრომომარაგების ქსელის მოწყობა და სხვ.), საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, დაიხარჯა 6,599,252.60 ლარი.

**მიმდინარე პროექტები:**

რეგიონი	ქალაქი/დასახლება	მისამართი	ბინების რაოდენობა
სამეგრელო ზემო-სვანეთი	ზუგდიდი	თაბუკაშვილის ქუჩა	320 ბინა
სამეგრელო ზემო-სვანეთი	ზუგდიდი	ახალსოფელი	42 ბინა
იმერეთი	ქუთაისი	ნიკეას #21	96 ბინა
იმერეთი	ქუთაისი	ავტომშენებლის ქუჩა	65 ბინა
იმერეთი	ქუთაისი	ოცხელის #2	109 ბინა
ქვემო ქართლი	ვაზიანი	სამხედრო დასახლება	67 ბინა
ქვემო ქართლი	ვაზიანი	სამხედრო დასახლება	80 ბინა



ქვემო ქართლი	ვაზიანი	სამხედრო დასახლება	77 ბინა
შიდა ქართლი	გორი	ცხინვალის გზ. #14	62 ბინა
შიდა ქართლი	კასპი	სტალინის #110	113 ბინა
შიდა ქართლი	ხაშური	რუსთაველის #38	110 ბინა
შიდა ქართლი	ხაშური	სააკაძის #2	118 ბინა

მნიშვნელოვანია დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების დაკანონების პროცესი. მისი დაჩქარების მიზნით, მთავრობის განკარგულებით, გააქტიურდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საცხოვრებელი ფართი 10 000 - მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება. პროცესი 2014 წლის პირველი ნოემბრიდან დაიწყო და 10 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პირველ ეტაპზე, 2 თვის განმავლობაში, მოხდება დევნილთა 815-ჩასახლების შესწავლა. მეორე ეტაპი, რომელიც 8 თვე გაგრძელდება, დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს.

2014 წელს ქვეყნის მასშტაბით 2 365 დევნილ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი:

რეგიონი	დაკანონებული ბინების რაოდენობა
თბილისი	752
იმერეთი, გურა, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	361
სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა	610
ქვემო-ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი	318
შიდა-ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	324
	<b>2 365</b>

ხელისუფლებამ რადიკალურად შეცვალა დამოკიდებულება დევნილთა განსახლების პოლიტიკის მიმართ. წინა ხელისუფლების დროს



პრეზიდენტის ბრძანებით თბილისში გრძელვადიანი განსახლების პროექტის ფარგლებში დევნილებისთვის ბინების საკუთრებაში გადაცემა აკრძალული იყო.

ეს დისკრიმინაციული კანონი ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ შეიცვალა. განსახლება ხდება იქ, სადაც ისინი ინტეგრირდნენ განვლილი 21 წლის მანძილზე. მათ შორის დედაქალაქ თბილისში. ამ მიმართულებით, სამინისტროს ინიციატივით საქართველოს მთავრობამ „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012 – 2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის N 1162 განკარგულებაში შეიტანა ცვლილება- ქ. თბილისში და საქართველოს რეგიონებში დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩინურ სააქციო საზოგადოება „ჰუალინგ ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ 5 მრავალსართულიანი 298 ბინიანი კორპუსი გამოისყიდა. პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება დაახლოებით 18 მილიონ 176 ათას ლარს შეადგენს. ხელშეკრულების თანახმად, მაღალი სტანდარტის კორპუსები სამინისტროს 2015 წლის აგვისტოს თვეში, ოლიმპიური ფესტივალის დასრულების შემდგომ გადაეცემა.

მნიშვნელოვანია, რომ დევნილი ოჯახების განსახლების ადგილას საცხოვრებელი კორპუსების პარალელურად შენდება სკოლა, საავადმყოფო, პოლიციის განყოფილება, სახანძრო-სამაშველო სადგური და კომერციული ზონა, რომელიც ამიერკავკასიაში უდიდეს სავაჭრო ცენტრს მოიცავს. მომავალში, სამინისტროს ხელშეწყობით აღნიშნულ ობიექტებში შესაძლებელი იქნება დევნილების დასაქმება.

ასევე პერსპექტიული და საინტერესოა ქართველი მენაშენეებისაგან ბინების გამოსყიდვის პროექტი. პროგრამა ორ ნაწილიანია, პირველი ეტაპი გულისხმობს მოქმედი მენაშენეებისგან ბინების გამოსყიდვას. მეორე ეტაპზე კი- შეჩერებული მშენებლობებიდან იმ ობიექტების ამორჩევას, რომელთა მშენებლობის გაგრძელებაც შესაძლებელია. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, მომავალ წელს ამ კუთხით 19 მილიონი ლარი დაიხარჯება. საუბარია დევნილთათვის მინიმუმ 550 ბინის შესყიდვაზე. მენაშენეების მიერ შემოთავაზებული ფასის შესაბამისად, ეს რიცხვი



შესაძლოა 700-800 ბინამდეც გაიზარდოს. მენაშენეების შერჩევა კონკურსის წესით მოხდება. ამ პროექტით გაჩნდა დევნილთა ბინებით უზრუნველყოფის ახალი წყარო, რომელიც დააჩქარებს დევნილთა ინტეგრაციისა და ბინებით უზრუნველყოფის პროცესს. მეორეს მხრივ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია თავად მენაშენეებისთვის, რადგან დასრულდება არაერთი გაჩერებული მშენებლობა, შეიქმნება სამუშაო ადგილები და ამით ბიუჯეტიც ისარგებლებს.

გარდა გამოსყიდვისა, სამინისტრო იწყებს მასშტაბურ მშენებლობებს. ქუთაისში აშენდება 25 თექვსმეტსართულიანი, ზუგდიდში 34 თორმეტსართულიანი კორპუსი. წყალტუბოსა და გორში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები.

### ახალი მშენებლობები დევნილთათვის:

რეგიონი	ქალაქი	მისამართი	ბინების რაოდენობა	მშენებელი კომპანია
სამეგრელო ზემო-სვანეთი	ზუგდიდი	ბარამიას ქუჩა	2 460 ბინა	
იმერეთი	ქუთაისი	შერვაშიძის #53	2 000 ბინა	
თბილისი		თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია	266 ბინა	„ჰუალინგ ჯგუფი“

სამინისტროში ხორციელდება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი „სოფლად სახლი“. ეს პროექტი მნიშვნელოვანია ბევრი მიმართულებით. სამინისტრო 20 ათასი ლარის ფარგლებში დევნილებს სთავაზობდა სოფლად სახლებს საკარმიდამო ნაკვეთით, მაგრამ იქმნებოდა სერიოზული პრობლემა იმის გამო, რომ სამინისტროს მიერ მოძიებული სახლები დევნილებს არ აკმაყოფილებდათ. ამიტომ, სამინისტრომ შეცვალა მიდგომა და ახლა უკვე დევნილი თვითონაა ჩართული სახლის მოძიების პროცესში, რომელსაც მას სამინისტრო კრიტერიუმების შესაბამისად შეუძენს. რაც მთავარია, კრიტერიუმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და თანხის რაოდენობა განისაზღვრა ოჯახის სულადობიდან



გამომდინარე. 17 000 ლარი ოჯახზე, რომელიც შედგება 1-2 წევრისაგან, 21 000-3-4 წევრი, 26 000- 5-7 წევრი, 31 000 - 8 და მეტი წევრი. აუცილებელი პირობაა, სახლს ჰქონდეს მიწის ნაკვეთი.

სულ ახლახანს, სამეგრელოში 7 სულიან ოჯახს სამინისტრომ შეუძინა სახლი 8 ჰა მიწის ნაკვეთით, საიდანაც 2,5 ჰა-ზე მანდარინის ბაღია გაშენებული, რამაც ოჯახს უკვე შემოსავლის წყაროც გაუჩინა. ეს პროცესი ყოველდღიურად მიმდინარეობს. ბოლო 2 თვის განმავლობაში 350 განაცხადი შემოვიდა, საიდანაც ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე სამინისტრომ 200 სახლი უკვე შეიძინა.

**სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით 200 კერძო სახლი შეისყიდა საკარმიდამო ნაკვეთებით:**

რეგიონი	შემენილი სახლი
სამეგრელო ზემო-სვანეთი	75
იმერეთის	40
ქვემო ქართლი	70
შიდა ქართლი	15

### სოციალური პაკეტი

ის, რომ დევნილთა პრობლემები სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ნათლად აჩვენა ახალმა ბიუჯეტმა, რომელიც გაორმაგდა და 25 მილიონიდან 50 მილიონი ლარი გახდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, დევნილები მაინც საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენად რჩებიან. ამიტომ, სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს სოციალური პაკეტების განხორციელებას. 2014 წლის განმავლობაში ერთჯერადი ფულადი დახმარების, ქირის, ელექტროენერჯისა და გაზის ვაუჩერის, გამოზამთრების პროგრამის ფარგლებში, ჯანდაცვის და სხვა საჭიროებებზე ჯამში 5 მილიონ ლარზე მეტი გაიხარჯა.



**საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დევნილთათვის გაწეული  
სოციალური დახმარება:**

დახმარების ტიპი	დევნილების რაოდენობა	გაცემული თანხა (ლარი)
ერთჯერადი ფულადი დახმარება	3 550 დევნილი	575 820
თანადაფინანსება გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის	76 დევნილი	53 900
ქირა	964 ოჯახი	424 180
გამოზამთრების პროგრამის ფარგლებში ელ. ენერჯის და ბუნებრივი აირის ვაუჩერი (200 ლარი)	21 919 ოჯახი	4 383 800
გამოზამთრების პროგრამის ფარგლებში გაცემული შემოს თანხა	1 027 ოჯახი	122 200
<b>სულ:</b>		<b>5 559 900</b>

**დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - სსიპ**



დევნிலთა სამინისტრო ცვლის მიდგომებს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება ისევ რჩება ძირითად პრიორიტეტად, მაგრამ ნელ-ნელა, სულ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდება დევნილთა შრომითი მოწყობის, პროფესიული გადამზადებისა თუ ბიზნეს-პროექტების რეალიზებაზე.

ამ მიზნით, სამინისტროს ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 31 მაისის №367 ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **დევნிலთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**. სააგენტოს მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიური ინტეგრაცია მათი საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის გზით. სამინისტროს მიერ შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა „**იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთათვის საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით დაგადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრატეგია**“, რაც განსაზღვრავს დევნილთა საარსებო წყაროებით მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებს, პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს.

სააგენტომ ფუნქციონირება ამა წლის ოქტომბერში დაიწყო. სსიპ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულება დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ამ პროექტის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს დევნილების პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზება, რაც ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას და ჩართულობას ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაში.

პროგრამები ორიენტირებული იქნება გრძელვადიან და მდგრად ეკონომიკურ ეფექტზე. ჩასახლების ტიპიდან და დევნილთა ინტერესებიდან გამომდინარე, პროექტები შეიძლება იყოს როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო ტიპის.

სააგენტო ნაწილობრივ დაფინანსდება სამინისტროს ბიუჯეტიდან, დაფინანსების ძირითადი წყარო კი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები იქნებიან. პროექტების განხორციელებაში ჩართულნი იქნებიან მომიჯნავე უწყებებიც, ისეთები,



როგორცაა ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, განათლების, ინფრასტრუქტურისა და სხვა სამინისტროები.

## ევროკავშირის პროექტი დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის გასაძლიერებლად

ევროკავშირის დაფინანსებით სამინისტროში შეიქმნა სამინისტროს პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი, რომლის მიზანია სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების რესურსებისა და შესაძლებლობების ზრდა. პროექტის ფარგლებში შემუშავდა დევნილთა სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა და დევნილთა საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის პროექტები, რომლებიც საბოლოო დოკუმენტებად ჩამოყალიბდება არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მიღებულ იქნება უახლოეს პერიოდში.

პროექტის დახმარებით ასევე შემუშავდა დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს კონცეფცია, საარსებო წყაროების მხარდაჭერი პროექტების შერჩევის და განხორციელების პროცედურის დოკუმენტი და აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის წარმართვის გზამკვლევი. პროექტმა და სამინისტრომ ერთობლივად განახორციელეს ტრენინგები: საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და ანალიზში, ანგარიშის მომზადების უნარ-ჩვევებში, ტრენერთა ტრენინგში და ინგლისურ ენაში.

ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით ასევე ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული სამინისტროს ინიციატივის „დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროექტის“ ახალი თანამშრომლების გადამზადება. პროექტის მიზანია დევნილთათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართების დაკანონების ეფექტური უზრუნველყოფა.

პროექტის დახმარებით სამინისტრო ასევე გეგმავს განსახლების თაობაზე დევნილთა აპლიკაციების მიღების და დამუშავების პროცესის





სრულყოფის მიზნით სათანადო ინოვაციური საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს დევნილთა დეპარტამენტის ეფექტიანობას და გაუიოლებს დევნილებს ისარგებლონ სამინისტროს მომსახურებით.

## სხვა მიმართულებები

გარდა დევნილებისა, სამინისტროს ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები-ლტოლვილები, მიგრანტები და რეპატრიანტები.

### ეკომიგრანტები

2006 წლის მონაცემებით საქართველოში 37 000-მდე ეკომიგრანტი ოჯახი აღირიცხა. თუმცა, მათ რიცხვში მოხვდნენ ისინიც, ვინც საცხოვრებელი ადგილი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დატოვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ დაიწყო მონიტორინგი და ბენეფიციარების რიცხვის დაზუსტება. წინა ხელისუფლების პირობებში საცხოვრებელი სახლების შესყიდვა-განაწილება ხდებოდა მხოლოდ ჩინოვნიკების ინდივიდუალური გადაწყვეტილებების საფუძველზე და არ არსებობდა არანაირი იურიდიული აქტი, რაც დაარეგულირებდა საცხოვრებელი სახლების განაწილების წესს. მინისტრის 2013 წლის 13 ნოემრის N779 ბრძანებით (ნორმატიული აქტი), შეიქმნა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საცხოვრებელი სახლების განაწილების წესსა და მიღებული განაცხადების შეფასების კრიტერიუმებს, ასევე აღნიშნული ბრძანებით შეიქმნა კომისიაც, რომელიც ამ ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და წესის მიხედვით ახორციელებს საცხოვრებელი სახლების შესყიდვას და მათ განაწილებას მინიჭებული პირველადი სარეიტინგო ქულების მიხედვით.

2013 წელს სამინისტროს მიერ შესყიდული სახლების განაწილების პროცესმა ნათლად აჩვენა, რომ სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის ობიექტურად რთულია სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სახლში საცხოვრებელად გადასვლა, ვინაიდან აღნიშნული სახლი ხშირ შემთხვევაში მდებარეობს მათთვის უცხო რეგიონში. ამის გამო რამდენიმე



ოჯახმა 2013 წელს უარი განაცხადა შეთავაზებულ სახლში განსახლებაზე. ასევე აღნიშნული მიდგომის ცვლილება განაპირობა სხვადასხვა სახის რეკომენდაციებმა (როგორც მოქალაქეები, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები), რისი გათვალისწინებითაც მინისტრის N779 ბრძანებაში იქნა შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს თავად მიეცეათ საშუალება მოიძონ საცხოვრებელი სახლი. ამ ცვლილების შესაბამისად, 2014 წლის 30 ივნისიდან 12 ივლისამდე გამოცხადდა ხელახალი განაცხადების მიღების პერიოდი, რომლის ფარგლებშიც 1780 ოჯახმა შემოიტანა განაცხადი და წინასწარი ქულების მინიჭების შემდეგ უმაღლესი ქულის მქონე 33 ოჯახს 20 000 ლარის ფარგლებში, მიეცა საშუალება მოემუშაოთ საცხოვრებელი სახლი.

**2014 წლის 30 ივნისიდან 12 ივლისამდე მიღებული განაცხადების სტატისტიკა დაზარალების რეგიონების მიხედვით**

2014 წლის 30 ივნისიდან 12 ივლისამდე მიღებული განაცხადების სტატისტიკა დაზარალების რეგიონების მიხედვით		
N	რეგიონი	განაცხადების რაოდენობა (ოჯახი)
1	იმერეთი	189
2	აჭარა	399
3	გურია	188
4	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	371
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	407
6	კახეთი	59
7	მცხეთა-მთიანეთი	21
8	შიდა ქართლი	93
9	ქვემო ქართლი	44
10	სამცხე-ჯავახეთი	15
	სულ	1786

აღნიშნული მიდგომით მოხდა 2014 წელს შესყიდული 33 საცხოვრებელი სახლის განაწილება. 5 საცხოვრებელი სახლი იმერეთის, 9 საცხოვრებელი სახლი სამეგრელო ზემო-სვანეთისა და 19 კახეთის



რეგიონში. საცხოვრებელი სახლი გადაეცა სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს შემდეგი რეგიონებიდან:

N	რეგიონი	დაზარალებული ოჯახი
1	კახეთი	3
2	აჭარა	12
3	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	5
4	სამეგრელო, ზემო სვანეთი	11
5	იმერეთი	1
6	შიდა-ქართლი	1

- 2010 წლის შემდეგ სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში არ ყოფილა გამოყოფილი არცერთი თეთრი
- 2014 წელს აღნიშნული მიმართულებით დაიხარჯა 678 771.80 ლარი (601 297.80 საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, 77 474 SDC-თან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში)
- 2014 წელს უსაფრთხო ადგილას ალტერნატიული საცხოვრებელი სახლით დაკმაყოფილდა 69 ოჯახი.

ეკომიგრანტებისადმი ყურადღების გაზრდაზე მეტყველებს სამინისტროში 2014 წლის ივნისიდან ეკომიგრანტთა დეპატამენტის შექმნის გადაწყვეტილება. მინისტრის ახალი ბრძანებით დამტკიცდა ეკომიგრანტებისთვის სახლების განაწილების წესში ცვლილებების პაკეტი. მანამდე არსებული დაზარალებულების 4 კატეგორია შეიცვალა 2 -ით.

პირველი კატეგორია მოიცავს ეკომიგრანტ ოჯახებს, რომელთა სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია სტიქიური მოვლენის შედეგად და არ ექვემდებარება აღდგენას.

მეორე კატეგორია აერთიანებს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს, რომელთა სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.



## 2014 წლის ბოლომდე საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში დაკმაყოფილდა და დაკმაყოფილდება:

სტიქიით დაზარალებული ოჯახის წარმომობის რეგიონი	ოჯახების რაოდენობა
აჭარა	16
სამეგრელო ზემო სვანეთი	21
რაჭა ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	11
კახეთი	3
იმერეთი	5
შიდა-ქართლი	2
გურია	6
სამცხე-ჯავახეთი	1
მცხეთა-მთიანეთი	1

- 2004-2012 წლებში სამინისტროს მიერ შესყიდული არცერთი საცხოვრებელი სახლი არ არის გადაცემული კერძო საკუთრებაში, რაც ამ ოჯახებს ხელს უშლის ახალ სამოსახლო ადგილზე სრულფასოვნად ინტეგრირებაში. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით სამინისტრომ უკვე მოახდინა ამ სახლების და მათში განსახლებული ოჯახების აღწერა (პროფაილინგი).
- 2015 წელს აღნიშნული საცხოვრებელი სახლების ბენეფიციართათვის დაკანონების მიზნით სამინისტროს დაგეგმილი აქვს სახლების ხელახალი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ეკომიგრანტი ოჯახებისთვის სახლების კერძო საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად გადაცემა.
- 2015 წელს, სტიქიით დაზარალებული ოჯახების განსახლების მიზნით იგეგმება 1 800 000 ლარის გამოყოფა, რომლის ფარგლებშიც დამატებით 100-მდე ოჯახი იქნება უზრუნველყოფილი საცხოვრებელი სახლით.

წლების მანძილზე წალკის, ნინოწმინდის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში აჭარისა და სვანეთის მაღალმთიანი რაიონებიდან ადგილი ჰქონდა ოჯახების მიგრაციას, რომელთა ნაწილიც სტიქიით დაზარალების გამო გახდა იძულებული დაეტოვებინა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო ნაწილი ოჯახის გაყოფისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადაადგილდა. მათ შორის ის



ოჯახები, რომლებიც 70-90 წლებში სახელმწიფოს მიერ იქნენ განსახლებული სამცხე-ჯავახეთისა და გურიის რეგიონებში და რომლებმაც, საკუთარი გადაწყვეტილებით, ხელახლა შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და ჩავიდნენ წალკაში, ნინოწმინდასა და თეთრიწყაროში.

ამ მუნიციპალიტეტებში გარკვეული რაოდენობის ოჯახებისათვის (წალკა 571, ნინოწმინდა 91, თეთრიწყარო 184) უკვე შესყიდულია საცხოვრებელი სახლები, ხოლო დარჩენილი ოჯახების უმეტესობა არ არიან სტიქიით დაზარალებულნი და ამ რაიონებში ოჯახის გაფართოების ან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არიან ჩასულები.

სამწუხაროდ, დღემდე გაუკრვეველია სტიქიით დაზარალებული რამდენი უსახლკარო ოჯახია სულ ჩასული ამ მუნიციპალიტეტებში. მათი განცხადებით წალკაში სტიქიით დაზარალებული 2500 ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ 2014 წელს სამინისტროსთან თანამშრომლობით, ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც წარმოადგინა 446 ოჯახისაგან შემდგარი სია. მუნიციპალიტეტებიდან დღეის მდგომარეობით ამ სიასთან დაკავშირებით მიღებულია ინფორმაცია 60 ოჯახზე, საიდანაც 47 ოჯახს დაუდასტურდა სტიქიით დაზარალება, ხოლო 13 ოჯახს არა. მათი ძირითადი მოთხოვნებია უკვე შესყიდული საცხოვრებელი სახლების დაკანონება, დარჩენილი დაზარალებულებისთვის სახლების შეძენა და ასევე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დამატებითი ნაკვეთების გადაცემის საკითხის მოგვარება.

რაც შეეხება იმ ოჯახებს, რომლებიც არ არიან დაკმაყოფილებული სახელმწიფოს მიერ, შესაძლებელია მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კორპუსის ტიპის შენობების რეაბილიტაცია (საჭირო იქნება წინასწარი მოკლვლევის ჩატარება, რამდენად თანახმა იქნებიან ეს ოჯახები, რომ განსახლდნენ კორპუსის ტიპის შენობაში). მაგალითად, წალკაში არსებობს ძველი საავადმყოფოს შენობა, რომლის რეაბილიტაციის შემთხვევაში შესაძლებელია 150-მდე ოჯახის დაკმაყოფილება. ასევე დამატებით რესურსად შესაძლებელია ჩაითვალოს ის სახლები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია, მაგრამ საჭიროებენ რეაბილიტაციას.



## ლტოლვილები-

სამინისტრო ერთადერთი სტრუქტურაა, რომელიც უცხოელებისთვის საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. 2014 წელს საქართველოს თავშესაფრის თხოვნით მომართა 1617 პირმა. მათგან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი მიენიჭა 57 -ს, უარი ეთქვა 220 პირს. ამჟამად განხილვაშია 1246 პირის საქმე, რომელთაგან უმეტესობას შეადგენენ ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები (779 პირი). ასევე აღსანიშნავია უკრაინიდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდა, ბოლო დროს იქ განვითარებული მოვლენების გამო. მათი რიცხვი, ამ ეტაპზე, შეადგენს 295-ს.

დღეის მდომარეობით, საქართველოში თავშესაფრით სარგებლობს (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსით) 364 პირი , რომელთა უმეტესობას შეადგენენ რუსეთის ფედერაციიდან ლტოლვილი ეთნიკური ჩეჩნები. მათთვის სტატუსის მინიჭება განხორციელდა prima facie (მასობრივი შემოსვლა) პრინციპით.

მოცემულ ეტაპზე აქტიურად ხორციელდება „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“, „სავიზო ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით“ და „2013-2015წწ. მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით“ საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. კერძოდ:

- 2014 წლის 1 აპრილს დამტკიცებული იქნა ახალი, "მიმღებ ცენტრში განთავსების, ქცევის და მიმღები ცენტრიდან გასახლების წესი", რომელშიც ასახული იქნა ცენტრის ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ცვლილებები.
- 2014 წ. იანვრიდან სამინისტროში ფუნქციონირება დაიწყო „თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების“ განყოფილებამ (COI).
- „ხარისხის ინიციატივა აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში“ პროექტის ფარგლებში, სამინისტროში განხორციელდა თავშესაფრის საკითხთა მიმღები ცენტრის გარემონტება და ტექნიკური აღჭურვა.



- ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა საქართველოში ინტეგრაციის შესაძლებლობების გამოკვლევის მიზნით, 2014 წლის მარტში სამინისტროს კოორდინირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოიცვა 2 ძირითადი ასპექტი:
  - ა) არსებული სიტუაციის ანალიზი (დასაქმება, განსახლება, განათლება, ჯანდაცვა);
  - ბ) თავშესაფრის მქონე პირთა საჭიროებების გამოვლენა.მოცემულ ეტაპზე ორივე მიმართულებით კვლევა დასრულებულია და მიმდინარეობს დოკუმენტების შეჯერება;
- 2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა დევნილების მსგავსად განისაზღვრა 45 ლარით;
- თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმღებ ცენტრში განთავსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თბილისში აშშ-ს საელჩოს, UNHCR და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით 2014 წლის 20 თებერვალს აშშ-ის ევროპული სარდლობის (EUCOM) ხელმძღვანელობით, აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) გამოეყო თანხა მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობისათვის. ახალი ცენტრი გათვლილი იქნება 85 პირზე. 2014 წლის 7 აგვისტოს ხელი მოეწერა მემორანდუმს "აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროექტი: თავშესაფრის მაძიებელთა ცენტრი მარტყოფში". აღნიშნული პროექტის დასრულების ვადაა 2015 წელი;
- მონაცემთა შეგროვების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, 2014 წლის ივნისში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა COI მონაცემთა ბაზის შესამუშავებლად. სამინისტრომ UNHCR-თან მჭირდრო თანამშრომლობითა და ფინანსური მხარდაჭერით შეიმუშავა ახალი ელექტრონული მონაცემთა ბაზის კონცეფცია. ამჟამად, მიმდინარეობს მონაცემთა ბაზის საპროგრამო სამუშაოები;



- შემუშავდა სპეციალური ოპერაციული პროცედურები თავშესაფრის მაძიებელ პირთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილებისთვის. ამჟამად, მიმდინარეობს ექსპერტებისაგან მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების ანალიზი;
- მომზადდა თავშესაფრის მქონე პირთათვის ინტეგრაციის სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია;
- საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა საგრძნობლად გაზრდილი ნაკადის პირობებში, თავშესაფრის საკითხის კვლევის პროცედურით გათვალისწინებული ვადების დაცვის მიზნით, შემუშავდა ჯგუფების იდენტიფიცირება და ჯგუფების მიხედვით ერთიანი მიდგომა.

ამ მიმართულებით სამინისტრო უახლოეს პერიოდში განახორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

- უახლოეს პერიოდში დაგეგმილია „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების მომზადება, რომლის არსებით ელემენტს წარმოადგენს დაჩქარებული პროცედურების ნორმის შემოღება და მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფისთვის სპეციალური პროცედურის შემუშავება. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- მიმდინარეობს მუშაობა თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის გასაცემი შემწეობების დამდგენი კომისიის ფუნქციონირების წესის და გასაცემი შემწეობის კრიტერიუმების შესამუშავებლად;
- უახლოეს პერიოდში დაგეგმილია თავშესაფრის მაძიებელთათვის დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობების გაცემის დაწყება, რომელსაც ექნება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა;





- 2015 წელს, თავშესაფრის მაძიებელთათვის ამოქმედდება სახელმწიფო საყოველთაო სადაზღვევო პროგრამა;
- 2015 წელს იგეგმება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემა;
- 2015 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილია თავშესაფრის მქონე პირთათვის ინტეგრაციის სახელმძღვანელოს გამოცემა;

### რეპატრიანტები

მუსულმანი მესხებისთვის რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადების მიღების ვადა 2010 წლის 1 იანვარს ამოიწურა. საქართველოს რეპატრიაციის თხოვნით 5 841-მა სრულწლოვანმა მიმართა. დღეის მდგომარეობით, რეპატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1 533-ს, ხოლო 173-მა რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა მიიღო საქართველოს პირობადებული მოქალაქეობა.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ მუსლიმი მესხების რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგია დაამტკიცა. აღნიშნული სტრატეგიის შექმნა ეს არის ქართული მხარის კეთილი ნება და არა 1999 წელს ევროსაბჭოში გაწვევრიანებისას აღებული ვალდებულება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შემუშავება.

როგორც სტრატეგიაშია ნათქვამი, რეპატრიანტთა ღირსეული დაბრუნება გულისხმობს რეპატრიანტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას და მათ ახალ სამართლებრივ გარემოში ადაპტირებას. ამ მიზნით, განსაზღვრულია რეპატრიანტთა საჭიროებების შესწავლა, რეგიონებში არსებული რესურსების იდენტიფიცირება, რეპატრიანტთა ინფორმირებულობა, აუცილებელი სამართლებრივი თუ საყოფაცხოვრებო საკითხების შესახებ, ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება.

სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციისთვის აუცილებელია, რეპატრიანტთა მიერ სახელმწიფო ენის ცოდნა. შესაბამისად, მთავრობა გეგმავს მათთვის ქართული ენის შემსწავლელი პროგრამების ორგანიზებასა და სახელმწიფოში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.



## მიგრანტები

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აქტიურად მუშაობს ჩვენი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით. ჩვენი უწყება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროკავშირთან ხელმოწერილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შეთანხმების წარმატებით განხორციელების პროცესში, სადაც გაერთიანებულია ისეთი მიმართულებები და ინსტრუმენტები, როგორცაა „პარტნიორობა მობილურობისთვის“, „რეადმისიის შესახებ შეთანხმება“, „ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ და „ასოცირების შესახებ შეთანხმება“.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ, სახელმწიფო უწყებების და მათ შორის ჩვენი სამინისტროს ეფექტური მუშაობის შედეგად, ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების შემდეგ, წარმატებით დაასრულა ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა და დაიწყო მუშაობა მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.

აღნიშნული და ასევე სხვა შეთანხმებებითა და საერთაშორისო დოკუმენტებით, ჩვენს ქვეყანას ნაკისრი აქვს კონკრეტული ვალდებულებები მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით, რომელთა შესრულებაც საკვანძო საკითხს წარმოადგენს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე, განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად, პასუხისმგებლები არიან სახელმწიფო უწყებები, მათ შორის ჩვენი სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მართვასა და წარმართვაზე, როგორებიცაა საქართველოში თავშესაფრის საკითხები და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობა.

საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობის კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით და ჩვენი უწყების ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოში



დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, 2014 წლიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „More for More“ ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, სამინისტროში ახორციელებს პროექტს „საქართველოს მთავრობის პოტენციალის გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვაში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სამინისტროში ფუნქციონირებას განაგრძობს „მობილურობის ცენტრი“, რომელიც ბენეფიციარებს სთავაზობს პირველად და სამართლებრივ კონსულტაციას, დახმარებას დასაქმებისა და გადამზადების კუთხით, მცირე ბიზნესის წამოწყებაში დახმარებას და რეინტეგრაციისთვის საჭირო სხვა სერვისს.

მიმდინარე წლის თებერვლიდან მოყოლებული „მობილურობის ცენტრის“ მომსახურებით უკვე ისარგებლა სამშობლოში დაბრუნებულმა 500-მდე მიგრანტმა. აღნიშნული პროექტი სრულდება 2017 წლის ივნისში და ამ დრომდე სამინისტრომ ეტაპობრივად, სრულად უნდა გადაიბაროს მობილურობის ცენტრის ფუნქციები და დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოს სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ, 2015 წელს, პირველად საქართველოში, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოფა თანხა. აღნიშნული თანხა მოხმარდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- დაბრუნებული მიგრანტების მიერ წარმოდგენილი მიკრო ბიზნეს გეგმების დაფინანსება;
- დაბრუნებული მიგრანტების დროებითი განთავსება;
- დაბრუნებული მიგრანტების პროფესიული და კვალიფიკაციის გადამზადების კურსების დაფინანსება და ანაზღაურებადი სტაჟირების ხელშეწყობა;
- დაბრუნებული მიგრანტების პირველადი სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარება;



სამინისტროს მიზანს წარმოადგენს, ევროკავშირის ქვეყნებიდან და სხვა გეოგრაფიული არეალიდან დაბრუნებული ქართველი მიგრანტებისთვის, სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაციის კუთხით, მხარდაჭერისა და დახმარების ერთიანი მექანიზმის განვითარება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება დაბრუნებული მიგრანტებისთვის სრულყოფილი ინდივიდუალური სარეინტეგრაციო პროგრამების შეთავაზება.

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროკავშირსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისთან თანამშრომლობით სამინისტროს ამ მიმართულებით უკვე აქვს ხელშესახები შედეგები. სათანადო დახმარება სამშობლოში დაბრუნებულ ასობით ჩვენს თანამემამულეს გაეწია, რისთვისაც გაიხსნა მობილურობის 4 ცენტრი თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში.

ეს არის ევროკავშირთან თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი, რომლითაც საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას ხვდება. საქართველოში იძულებით თუ ნებაყოფლობით დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის საკითხი განსაკუთრებით ხაზგასმულია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგის დოკუმენტში. ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ქართულ მხარეს საშუალებას მისცეს, ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააღრმავოს თანამშრომლობა ევროკავშირთან, რაც ხელს შეუწყობს უცხოეთში გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში ღირსეულ დაბრუნებას.

სამინისტრომ ემიგრაციიდან დაბრუნებულ 200-მდე თანამემამულეს შემდეგი სახის დახმარება უკვე გაუწია: დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა, მიკრო ბიზნესის დაფინანსება, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შესაბამისი პროფესიული სწავლების კურსის შეთავაზება, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. „მობილურობის ცენტრის“ საშუალებით ბიზნეს კონსულტაცია გაეწია მიგრაციიდან დაბრუნებულ 47 ადამიანს, დაფინანსდა 18 ბენეფიციარის ბიზნეს- პროექტი.

მიგრაციის პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შექმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომლის



ფარგლებშიც, სახელმწიფო უწყებების აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა ქვეყნის მიგრაციის პროფილი, შემუშავდა მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

2015 წელს, პირველად საქართველოში, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად სახელმწიფო ბიუჯეტში გამოიყოფა თანხა (400 000 ლარი). აღნიშნული თანხა მოხმარდება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

სამინისტრო 2015 წელს გეგმავს შექმნას სარეინტეგრაციო გზამკლევები, რომელიც დაეხმარება მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებაში და რეინტეგრაციაში.

### სამინისტრო და დონორი ორგანიზაციები

სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. მათი დახმარებითა და ჩართულობით ხორციელდება არაერთი საქმიანობა დევნილთა, ლტოლვილთა, მიგრანტებისა და სამინისტროს სხვა ბენეფიციარების დახმარების მიზნით. ამ მიმართულებით დღეისათვის პროექტებს ახორციელებს:

### წითელი ჯვარი

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ფარგლებში მუშობს ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომლის მიზანს აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიება წარმოადგენს. ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში, წითელი ჯვრის დახმარებით, მოლაპარაკების შედეგად, 2014 წელს მოხდა ბაბუშერას სამარხის გახსნა და 30 ნეშტის თბილისში ჩამოსვენება, საიდანაც 4 ნეშტი უკვე იდენტიფიცირებულია.

### ევროკავშირი (EU)

იძულებით გადაადგილებული პირები - იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების მიზნით, ევროკავშირის დაფინანსებით, ამ ეტაპზე, ხორციელდება სექტორული პოლიტიკის დახმარების მხარდაჭერის პროგრამა. აღნიშნული პროექტი მოიცავს 2012 წლის ოქტომბერი-2015 წლის დეკემბრის პერიოდს. პროგრამის სახელწოდებაა: კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისა და



მასპინძელ თემთა მხარდაჭერა საქართველოში. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 19 მილიონ ევროს. აქედან: სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერა (ცენტრალიზებული მართვა) € 10 მილიონი ევრო - პროექტის ტიპი (ცენტრალიზებული პირდაპირი მართვა) € 9 მილიონი. მათ შორის:

- გრანტები - 5 მლნ ევრო
- დაფინანსების ხელშეკრულება - 2 მლნ ევრო
- ტექნიკური თანამშრომლობა (აუდიტის, მონიტორინგის, შეფასების და ხილვადობის ჩათვლით) - 2 მლნ ევრო

სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერა, რომელიც 10 მილიონ ევროს შეადგენს, იქნება პირდაპირი და არამიზნობრივი. აღნიშნული თანხა გადანაწილდება მთავრობაზე სამ ტრანშად. პირველი ნაწილი გაიცა პოლიტიკის რეფორმის მატრიცის პირობების შესაბამისად. შემდგომი ორი ტრანში ცვლადი ხასიათისაა პოლიტიკის რეფორმის მატრიცის ზოგადი და სპეციფიური პირობების შესაბამისად.

პროგრამის გრანტის ნაწილში 2013 წელს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც საარსებო წყაროების მიმართულებით გასაცემი გრანტი (5 მილიონი ევრო) პირდაპირ არასამთავრობო სექტორისთვის გაიცემა, რათა მათ განახორციელონ საარსებო წყაროების ხელშემწყობი პროექტები დევნილებისა და ადგილობრივი თემებისთვის.

2 მილიონი ევრო გაიცა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისთვის (UN FAO), რომელიც დევნილთა ჩართულობით სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებაზე გაიცა.

2 მილიონი ევროს ტექნიკური დახმარება დაიწყო 2014 წელს და განხორციელდება ორი წლის განმავლობაში. აღნიშნული პროექტის მიზანია სამინისტროს შესაძლებლობების შექმნა დევნილთა დახმარების ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისათვის.

**დაბრუნებული მიგრანტები- მობილურობის ცენტრი** - ევროკავშირის მიერ ხორციელდება სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაცია, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ევროკავშირის დაფინანსებით



2011 წლიდან სამინისტროში ფუნქციონირებს მობილურობის ცენტრი; 2014 წლიდან, IOM-ის ხელმძღვანელობით, ცენტრი ფუნქციონირებას განაგრძობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის“ პროგრამის „more for more“-ის ფარგლებში. პროექტის ხანგრძლივობაა 2014 – 2017 წელი. ამ პერიოდის განმავლობაში, ცენტრის რეინტეგრაციის განყოფილების ბიუჯეტი 893 010 ლარს შეადგენს, ხოლო არალეგალური მიგრაციის პრევენციის, ინფორმაციის და კონსულტაციის განყოფილების ბიუჯეტი - 217 124 ლარს.

ცენტრი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- ჩამოსვლის შემდგომი პირველადი კონსულტაცია, საჭიროებების შეფასება და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე;
- გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო ან კერძო პროგრამებში (სამკურნალო დაწესებულებები, დასაქმების ცენტრები, პროფესიული განათლების ცენტრები და ა.შ.);
- კონსულტაცია და დასაქმება, პროფესიული გადამზადების ჩათვლით, მომზადება დამსაქმებელთან გასაუბრებისთვის და დახმარება ავტობიოგრაფიის მომზადების პროცესში;
- დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა ახალ ჩამოსულ პირთათვის, რომელთაც თავშესაფარი არ გააჩნიათ;
- სამედიცინო დახმარება სიცოცხლისთვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის და მათთვის მედიკამენტების შეძენა;
- მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობა პროექტის იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები. ტრენინგები ბიზნესის დაწყებასა და სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ;

**უგზოუკვლოდ დაკარგულები** - ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას უწევს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ფარგლებში მომუშავე ქართულ-აფხაზური ორმხრივი საკოორდინაციო მექანიზმის საქმიანობას. საკოორდინაციო ჯგუფი 2010 წელს შეიქმნა და შეისწავლის 1992-93 წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების საკითხებს. ორმხრივი შეხვედრები ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, ასევე ერევანსა და სტამბულში უკვე 6-ჯერ გაიმართა.



ჩატარებული სამუშაოს შედეგად გადაწყდა სოხუმის ბაზუმერას და თბილისის დიღმის ძმათა სასაფლაოს ექსპუმაცია. 2013-2014 წლებში ორმხრივი საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში, წითელი ჯვრის დახმარებით, მოხდა 31 ცხედრის და აფხაზეთიდან გადმოსვენება და იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე გრძელდება მოლაპარაკებები სხვა სამარხების გახსნისა და ცხედრების გადმოსვენების შესახებ.

## გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესება - გლუკ-ის მიერ ხორციელდება სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტი დევნილთა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში. პროექტის სახელწოდებაა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაზრდა დევნილთათვის გრძელვადიანი გადაწყვეტილების განსახორციელებლად. პროექტი 2014 წლის დეკემბერში სრულდება.

2014 წლის პროექტის მთავარი მიმართულებები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სამეთვალყურეო საბჭოსა და დროებით ექსპერტთა ჯგუფის ფუნქციონირება;
- სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება მონაცემთა შეგროვებითა და ანალიზით;
- ახალი დამტკიცებული კანონმდებლობის განხორციელების ანალიზის შესაძლებლობების გაძლიერება;
- იგპ-თვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზის საშუალებით;
- დაკანონების პროცესის მხარდაჭერა პრივატიზაციის ჯგუფის გაძლიერებით;
- პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება;

პროექტის მთავარი მიზანია სამინისტროს შესაძლებლობის გაძლიერება იმ პოზიციების დაფინანსებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართლებრივ კონსულტაციას (ცხელი ხაზი), პრივატიზაციის პროცესსა და ტექნიკურ ექსპერტიზას მთარგმნელობითი მომსახურების ჩათვლით.





პროექტში დასაქმებული 15 თანამშრომელი არის სრულად დაფინანსებული გლუკის მიერ. თანამშრომელთა გარდა, პროექტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები კონსულტაციებისთვის და ექსპერტებისთვის.

2014 წელს პროექტის ფარგლებში 6 თვის განმავლობაში შემუშავებული დოკუმენტები:

- დევნილთა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის განახლებული ვერსია;
- დევნილთა საარსებო წყაროების 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის შექმნა;
- 2013 წლის პრივატიზაციის ანგარიში (ანალიზი და პერსპექტივები);

**ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დახმარება** - ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთისა და სხვა კონფლიქტების, ასევე სტიქიით დაზარალებულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების ფონზე, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა რაოდენობის ზრდის საპასუხოდ, სამინისტრომ გააძლიერა თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR). ამ ეტაპზე ხორციელდება გლუკისა და სამინისტროს ერთობლივი პროექტი: „ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სამართლებრივი დაცვა საქართველოში“.

**ა) ორმხრივი/ერთობლივი ღონისძიებები მოიცავს:**

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, გლუკის სტატუსის მე-8 (ვ) პარაგრაფისა და აღმასრულებელი კომიტეტის 91 (LII)-ე -2001 დასკვნის შესაბამისად სამინისტრო რეგულარულად განაახლებს და ხელმისაწვდომს ხდის ლტოლვილთა (ჰუმანუტარული სტატუსის მქონე პირთა) და თავშესაფრის მაძიებელთა სანდო სტატისტიკას, ადგილმდებარეობასა და სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს;

- მხარდაჭერილია სამინისტროს წარმომადგენლობა პანკისის ხეობაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომუნიკაცია იქ მაცხოვრებელ ლტოლვილებთან და ხელი შეეწყოს ინტეგრაციისა და ნატურალიზაციის პროცესს;



- ტარდება ლტოლვილთა ყოველწლიური სავალდებულო რეგისტრაცია ივნის-სექტემბრის პერიოდში;
- თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრი გარდბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში (შემდგომში „მიმღები ცენტრი“) გამოყენებულია მხოლოდ თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების მიზნებისათვის, სამინისტროში თავშესაფრის განცხადების რეგისტრაციის თარიღიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე, ყველა ინსტანციაში მათი საქმის გადახედვის გათვალისწინებით;
- მიმღები ცენტრის შეზღუდული შესაძლებლობების (60 კაცი) და ჩამოსული თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით, სამინისტრო და გლუკი ერთობლივად თანხმდებიან ალტერნატიულ საცხოვრებელ გადაწყვეტილებებზე, მაგალითად, ნაღდი ფულის გაცემის, ან დროებითი განთავსების ქირის გადახდის გზით. ასევე, იგეგმება მიმღები ცენტრის გაფართოვება აშშ-ის ევროპის სარდლობის ოფისის ფინანსური დახმარების საფუძველზე;
- მიმღები ცენტრის შესაბამისი მაღალი სტანდარტებით ფუნქციონირება და მონიტორინგი უზრუნველყოფილია სათანადოდ გადამზადებული თანამშრომელთა გუნდის მეშვეობით;
- მიმღები ცენტრი ხელმისაწვდომია გლუკის უფლებამოსილ თანამშრომელთა ვიზიტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთათვის კონსულტაციის გაწევით, ასევე გლუკის შემსრულებელი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგის მისიისათვის;
- გლუკმა უზრუნველყო სამინისტროს ახლადშექმნილი განყოფილების თანამშრომელთა გადამზადება.

გლუკის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში სამინისტრო უზრუნველყოფს:

- ერთობლივი პროექტის 8 თანამშრომლის ხელფასის გადახდას მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად;
- სოციალურ დახმარებას თავშესაფრის მაძიებელთათვის, მათ შორის გლუკის მანდატის ქვეშ მყოფ პირთათვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის შესაბამისად;



- თავშესაფრის მაძიებელთათვის დამატებითი სოციალური დახმარების გაცემას ერთობლივი შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე თავშესაფრის მაძიებელთათვის სასურსათო პაკეტის გაცემას;
- ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისა და თავშესაფრის მაძიებლებისთვის, რომლებიც იმყოფებიან განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში, საცხოვრებელი ფართის დასაქირავებლად შემწეობის გაცემას.
- მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებული პირების კეთილდღეობას შეზღუდული სამედიცინო დახმარების გზით, რომელიც მოიცავს სამედიცინო შემოწმებებსა და მედიკამენტებით მკურნალობას, ასევე აუცილებელ შემთხვევებში განთავსებულთა ტრანსპორტირებას სამედიცინო დაწესებულებებში.
- წარმოშობის ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მუდმივ განახლებას;
- დახმარებას თავშესაფრის მაძიებლებზე, რომლებიც ვერ განთავსდებიან მიმღებ ცენტრში განთავსებისთვის საჭირო თანხით და ძირითადი საჭიროებების დაფარვით.

აღნიშნული პროექტისათვის გლუკ-ის ფინანსური კონტრიბუცია შეადგენს 279 000 ლარს.

მონაცემთა ახალი ელექტრონული ბაზის შექმნა - გარდა ზემოაღნიშნულისა, მონაცემთა შეგროვების გასაუმჯობესებლად სამინისტროს მიერ UNHCR-თვის წარდგენილი პროექტის საფუძველზე, UNHCR-ის დაფინანსებით, ახალი მონაცემთა ელექტრონული ბაზის შესაქმნელად მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები (ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიზნეს-ანალიზი). ახალი მონაცემთა ბაზის დანერგვა დაგეგმილია მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლოსთვის. აღნიშნული ბაზის ამოქმედებას შედეგად მოჰყვება:

- ლტოლვილის სტატუსის მაძიებელი პირების ან/და ლტოლვილების მიღების და რეგისტრაციის პირობების გაუმჯობესება;
- თავშესაფრის მიცემის შუამდგომლობის თხოვნის განხილვის ვადების შემცირება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;



- სანდო სტატისტიკური მონაცემების და ანალიტიკური ინფორმაციის მიღება იმ პირებზე, რომლებიც შუამდგომლობენ ლტოლვილის სტატუსის მისაღებად ან/და მიღებული აქვთ ლტოლვილის სტატუსი;
- ლტოლვილად ცნობის პროცედურის სრულყოფა, მისი ვადების შემცირება;
- თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- იდენტიფიკაცია: გაუმჯობესდება თავშესაფრის მაძიებელ პირთა იდენტიფიცირება (თითის ანაბეჭდების აღება, პასპორტის წამკითხველი აპარატი)

### შვეიცარიის განვითარების სააგენტო (SDC)

ეკო-მიგრანტების განსახლება და დახმარება საარსებო წყაროების მოძიებაში - 2014 წლის მარტში (ხელშეკრულების პერიოდი: 2014 წლის მარტი-2015 წლის მარტი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრს“ და „შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს“ შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, საიდანაც სამინისტროს ტრანშის სახით გამოეყოფა 550 000 შვეიცარიული ფრანკი საცხოვრებელი სახლების შესასყიდად და „რეგიონალური განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრს“ 150 000 შვეიცარიული ფრანკი განსახლებული ოჯახების ინდივიდუალური საჭიროებებზე მორგებული სასტარტო საარსებო წყაროს უზრუნველსაყოფად. ჯამში, შესყიდული იქნება დაახლოებით 50 საცხოვრებელი სახლი, საიდანაც 23 სახლი აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დაზარალებული ოჯახისთვის; 22 სახლი მესტიის მუნიციპალიტეტში დაზარალებული ოჯახისთვის და 5 სახლი იძულებით გადაადგილებული ოჯახისთვისაა განკუთვნილი.

### აშშ-ის განვითარების სააგენტო (USAID)

იძულებით გადაადგილებული პირების გრძელვადიანი განსახლება - 2012 წლის 28 სექტემბერს, საქართველოსა და აშშ-ის განვითარების სააგენტოს



შორის დადებული ხელშეკრულების შესწორების საფუძველზე დევნილთა განსახლების პროგრამისთვის გამოიყო 34 668 597 მლნ დოლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით. მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში, რომლის ღირებულებაც შეადგენს 6.8 მილიონ აშშ დოლარს, USAID-მა 2013 წელს დაასრულა 10 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები იმერეთის რეგიონში 400-მდე ოჯახისთვის. ამ ეტაპზე მინდინარეობს 8 ახალი ობიექტის რეაბილიტაცია, სადაც 200-მდე დევნილი ოჯახი განთავსდება. ასევე ხორციელდება 35 კოლექტური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოები დასრულდება 2014 წლის ბოლომდე.

USAID-ის მიერ ასევე ხდება საბინაო ამხანაგობების მხარდაჭერა და საარსებო წყაროების ხელშეწყობის პროექტების დაფინანსება ახალი ეკონომიკური ინიციატივის (NEO) ფარგლებში, რომლის თაობაზეც USAID-სა და სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს.

ორგანიზაცია დევნილთათვის გასცემს გრანტებს, რომელთა მიზანია ბიზნესის ან სხვა საქმიანობის წამოწყება, რაც მოიტანს შემოსავალს ბინათმესაკუთრეთა/მოზინადრეთა ამხანაგობების მოვლა-ექსპლუატაციის საქმიანობებისთვის.

პროექტის ფარგლებში ასევე ხორციელდება პროფესიული ტრენინგები დევნილთათვის, რათა ხელი შეეწყოს მათი დასაქმების შესაძლებლობებს, რაც მოიცავს ისეთ პროფესიებს, როგორცაა მაგალითად: მკერავის, სტილისტის, მზარეულისა და კონდიტერის და ავტომანქანის შემკეთებლის პროფესიები.

კრედიტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, NEO, CHCA-ს მეშვეობით, აგრძელებს დახმარების გაწევას იძულებით გადაადგილებული პირებისა და NEO-ს დაუცველი ბენეფიციარებისათვის, ბიზნესთან დაკავშირებული ტრენინგისა და უპროცენტო სესხების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შემოსავლების გენერირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის ინიციატივის (IGBSI) პროექტის ფარგლებში. დღეისათვის გაცემულია 342 უპროცენტო სესხი 322 684 ლარის ოდენობით.

## ევროსაბჭო (CoE)



**გენდერული ძალადობის პრევენცია** - კონფლიქტისა და მის შემდგომ პერიოდში ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქიკური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და ძალადობის პრევენციის მიზნით, ევროსაბჭოს დაფინანსებით სამინისტროს მიერ ხორციელდება პროექტი „გენდერული ძალადობის პრევენცია დევნილ მოსახლეობაში“. აღნიშნული პროექტის მიზანია დევნილი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ძალადობის საკითხსა და მის პრევენციაზე. ასევე ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და მათი თვითშეფასებისა და თვითრეალიზების დონის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად განხორციელდა ჯგუფური ტრენინგის კურსები თბილისისა და რუსთავის დევნილთა ჩასახლებებში. ამასთან ერთად, ძალადობის მსხვერპლთათვის გაიმართა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ინდივიდუალური შეხვედრები. დასრულდა მუშაობა გენდერული ძალადობის პრევენციის შესახებ საგანმანათლებლო 20 წუთიანი ფილმის გადაღებაზე.

### **შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)**

**სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესება** - სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, SIDA-ს დაფინანსებით დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC) ახორციელებს პროექტს, რომლის სახელწოდებაცაა: განსახლების ინოვაციური და მისაღები გრძელვადიანი გადაწყვეტა (მაისი 2012 – დეკემბერი 2014). პროექტის ბიუჯეტია: 30 მლნ. შვედური კრონა (4 404 864 აშშ დოლარი).

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემის შემუშავება;
- პერსონალის განვითარების პროგრამები;
- სამინისტროსა და მისი რეგიონული ოფისების კომუნიკაციის შესაძლებლობების განვითარება;



- მისაღები ცენტრის შექმნა, მათ შორის მისაღები ცენტრის მუშაობის გაუმჯობესება და თანამშრომლების პროფესიული განვითარება;
- პრივატიზაცია - პრივატიზაციის პროცესის გაუმჯობესებაში დახმარება;
- სამინისტროს შიდა სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და მათი მუშაობის კოორდინირება;
- კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება სამინისტროს შიგნით;
- ტექნიკური დახმარება და კონსულტირება;
- სამინისტროს რეგიონული ოფისების შესაძლებლობების გაუმჯობესება.
- დასავლეთ საქართველოში კერძო სახლებში მაცხოვრებელი, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საბინაო პრობლემის გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- დასავლეთ საქართველოში კერძო სახლებში მაცხოვრებელი, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საარსებო წყაროების განვითარების ხელშეწყობა;
- იგპ-თათვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა;